ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1566460

ნომერი: AR1256928

თარიღი : 27.10.2014

გაცემის თარიღი : 03.11.2014

გაცნობის თარიღი : 03.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა შატბერაშვილი , N 6 / ქალაქი თბილისი , შატბერაშვილის ქ. N6-ის მიმდ (01.14.11.060.024-ის მიმდ);

დამკვეთი-განმცხადებელი

- მიხეილ კუჭავა პ/ნ 01010008127
- თბილისი შ.ნუცუბიძის ფერდ III მ/რ III კვ. კორ. 10 ბ. 29

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ცვლილება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურს 2014 წლის 9 ოქტომბერს #AR1256928 განცხადებით მომართა შპს „MK DEVELOPMENT“–ის დირექტორმა მიხეილ კუჭავამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანებაში ცვლილების შეტანა ტექნიკურ–ეკონიმიკურ მაჩვენებლებთან დაკავშირებით.

სამსახურმა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, შატბერაშვილი ქუჩა N6/ქალაქი თბილისი, შატბერაშვილის ქ. N6-ის მიმდ. (01.14.11.060.024-ის მიმდ.) მდებარე თანასაკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ:01.14.11.060.073), მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი.

განმცხადებლის განმარტების თანახმად, ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში არასწორად აისახა საცხოვრებელი, საზაფხულო, კიბის უჯრედისა და სადარბაზოს, ავტოსადგომისა და საერთო ფართობის მაჩვენებლები.

სამასხურმა განმცხადებლის მიერ წარმოდგენილი შეცვლილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები შეადარა შეთანხმებულ არქიტექტურულ ნახაზებს და დაადგინა, რომ საპროექტო დოკუმენტაციაში არასწორად იქნა წარმოდგენილი ტექნიკურ–ეკონომიკური მაჩვენებლები ფართების არასწორი დაჯამების გამო, რაც შემდგომ აისახა სამსახურის მიერ გამოცემულ ბრძანებაში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63–ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში ცვლილების ან დამატების შეტანის უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

ამდენად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიაჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ტექნიკურ–ეკონომიკურ მაჩვენებლებში ცვლილების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. დაკმაყოფილდეს შპს „MK DEVELOPMENT“–ის დირექტორის მიხეილ კუჭავას 2014 წლის 9 ოქტომბერს #AR1256928 განცხადება;
2. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანებაში. კერძოდ, დაფიქსირდეს:

საერთო ფართობი – 3132.0 კვ.მ.

საცხოვრებელი ფართობი – 1807.3 კვ.მ.
საზაფხულო ფართობი – 304.3 კვ.მ.
ავტოსადგომის ფართობი – 851.4 კვ.მ.
კიბის უჯრედისა და სადარბაზოს ფართობი – 169.0 კვ.მ.

3. 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანება დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი;
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2014 წლის 17 ივლისის #1391675 ბრძანებასთან ერთად.
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქ. #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
" თბილისის არქიტექტურის სამსახური"
საქართველო, თბილისი 0160 ჭ. შარტავას 7

ტელ. [+995 32] 272 22 22
ფაქს. [+995 32] 237 82 24
Info@tas.ge
უფრო მეტი - tas.ge